საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/59

ქ. ბათუმი 15 ------ აგვისტო 2017 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლისათვის მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, ,,ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის №59 დადგენილების, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, რექტორის მოადგილის 2017 წლის 14 აგვისტოს MES 9 17 00938165 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლისათვის მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით დაევალოთ:

ა) განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრს, ფაკულტეტების ხარისხის სამსახურების უფროსებს, ფაკულტეტების დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებსა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს - საგამოცდო მასალების შინაარსობრივი და ხარისხობრივი შემოწმება „ბსუ–ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის №59 დადგენილების და ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების მიხედვით;

ბ) განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრს და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს - საგამოცდო მასალების მიწოდება ბსუ-ს საგამოცდო ცენტრისათვის (უცხო ენის გამოცდის მასალებისა - 2017

წლის 26 აგვისტომდე; სპეციალობის გამოცდის მასალებისა - 2017 წლის 2 სექტემბრამდე);

გ) ბსუ–ს რექტორის 2017 წლის 14 ივლისის №01–08/53 და №01–08/54 ბრძანებებით განსაზღვრულ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მისაღები საგამოცდო კომისიებს -გამოცდებზე დასწრება და საგამოცდო მასალების შემოწმება საგამოცდო ცენტრში;

დ) საგამოცდო ცენტრსა და შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატების პერსონალის წარმომადგენლებს - საგამოცდო პროცესის მონიტორინგი.

2. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს და განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**